

თემა I. კეთილდღეობის ეკონომიკის შესავალი

თემის შესწავლის შემდგომ თქვენ შეძლებთ:

- შეაფასოთ რესურსების განთავსების ეფექტიანობა
- დაახასიათოთ კონკურენციული ნონასწორობა თავისუფალ ბაზრებზე
- ახსნათ სოციალური კეთილდღეობის ფუნქციები

განათავსებენ თუ არა ბაზრები შეზღუდულ რესურსებს ეფექტიანად? რას ნიშნავს ეფექტიანი? სამართლიანია თუ არა ის, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ზოგს სხვებთან შედარებით მეტი შემოსავალი აქვს? არ არსებობს პოზიტიური პრობლემები ეკონომიკის ფუნქციონირების შესახებ, მაგრამ არსებობს ნორმატიული მიდგომები, თუ რამდენად კარგად ფუნქციონირებს ეკონომიკა.

კეთილდღეობის ეკონომიკის თეორია განიხილავს ნორმატიულ საკითხებს. მისი მიზანია არა იმის აღწერა, თუ როგორ მუშაობს ეკონომიკა, არამედ იმის შეფასება თუ რამდენად კარგად მუშაობს ეს ეკონომიკა. კეთილდღეობის ეკონომიკა იყენებს კვლევის იმავე მეთოდებს, რასაც მიკროეკონომიკა და ზოგადად ეკონომიკა.

სამართლიანობა და ეფექტიანობა. ეკონომისტები სამართლიანობის ან თანასწორობის ასახსნელად სხვადასხვა კონცეფციას იყენებენ. **ჰორიზონტალური სამართლიანობა** არის ერთნაირი ადამიანებისადმი ერთნაირი მოპყრობა, ხოლო **ვერტიკალური სამართლიანობა** – სხვადასხვა ადამიანებისადმი განსხვავებული მოპყრობა, რათა შემცირდეს მათი განსხვავებული სასტარტო პირობები.

ჰორიზონტალური სამართლიანობა გამორიცხავს რასობრივ და სქესობრივ დისკრიმინაციას იმ ადამიანთა შორის, რომელთა ეკონომიკური მახასიათებლები და ქცევა იდენტურია. ვერტიკალური სამართლიანობა რობინ ჰუდის პრინციპის ანალოგიურია - მდიდარს ართმევს ღარიბს აძლევს.

ჰორიზონტალური სამართლიანობა უმრავლესობისთვის მისაღებია, ხოლო ვერტიკალური სამართლიანობა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად მიიღება.

რესურსების განთავსების ეფექტიანობა¹. რესურსების განთავსება გვიჩვენებს, თუ ვინ რას აკეთებს და ვინ რას იღებს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ბაზრები არ არის რესურსების შესაძლო განთავსების საშუალება. შესაძლო ან სანარმოო განაწილება შეიძლება დამოკიდებული იყოს ეკონომიკაში არსებულ ტექნოლოგიაზე და ეკონომიკაში რესურსების არსებობაზე. ნებისმიერი განთავსების საბოლოო შეფასება დამოკიდებულია მომხმარებლის გემოვნებაზე.


ნახაზზე 1.1 გამოსახულია წარმოება, სადაც ორი ინდივიდი – სუზი და დავითი მონაწილეობს. პირველადი განაწილების შედეგად A წერტილზე დავითს აქვს Q_D და სუზის Q_S რაოდენობის პროდუქტები. დაუშვათ წარმოების რეორგანიზაციით შესაძლებელია B წერტილში გადაადგილება (A წერტილის ჩრდილო-აღმოსავლეთით).

თუ ორივე ინდივიდი თავის სარგებლიანობას აფასებს მათ საკუთრებაში არსებული პროდუქტების რაოდენობის შესაბამისად, მაშინ B წერტილი უკეთესი განაწილებაა მათთვის A წერტილთან შედარებით (ვინაიდან ორივე ინდივიდი მეტი რაოდენობით იღებს საკვებს). აღნიშნულის საპირისპიროდ, A -დან C -ზე გადასვლით, სუზის და დავითის მდგომარეობა გაუარესდება, ვინაიდან თითოეული მათგანი საკვებს ნაკლები რაოდენობით იღებს, შედეგად C წერტილში წარმოება არაეფექტიანია.

რა შეიძლება ითქვას A -დან E -სკენ ან F -ისკენ რესურსების გადაადგილების შესახებ? ერთი ადამიანი იგებს, მეორე – აგებს. შეიძლება თუ არა ეს ცვლილება ჩაითვალოს როგორც სასურველი? ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აფასებს საზოგადოება დავითის უკეთეს მდგომარეობას სუზისთან

* თემის მომზადებისას გამოყენებული ლიტერატურის ქართულენოვან თარგმანში დაშვებული ტერმინოლოგიური შეცდომები გასწორებულია შემდგენელის ასოც. პროფ. ინეზა გაგნიძის მიერ.

შედარებით. თუ დავითის მდგომარეობის გაუმჯობესება უფრო მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, მაშინ *A*-დან *F*-ისკენ რესურსების გადაადგილება შეიძლება დადებითად შეფასდეს.



ნახ. 1.1 ორი ინდივიდისთვის განკუთვნილი საკვების განთავსება

ინდივიდებს შორის პროდუქტის განაწილების სამართლიანობის შეფასებისას ფიქრობენ არაეფექტიანობის ან გაფლანგვის შესახებაც. სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვაგვარად მსჯელობს, ამიტომ არ შეიძლება არსებობდეს ცალსახა პასუხი შეკითხვაზე: სასურველია თუ არა *A*-დან *D, E, F*-სკენ გადაადგილება. ყოველივე დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას.

სამართლიანობისა და ეფექტიანობის შესახებ შეხედულებათა შორის განსხვავების წარმოსაჩინად კეთილდღეობის თეორია იყენებს პარეტო-ეფექტიანობის იდეას, რომელიც ეკუთვნის იტალიელ სოციოლოგს ვილფრედო პარეტოს.

განთავსება პარეტო-ეფექტიანია მომხმარებლის გემოვნების, რესურსებისა და ტექნოლოგიისათვის იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია იგი განათავსო ისე, რომ ხალხს უფრო გაუმჯობესდეს და არა გაუუარესდეს მდგომარეობა (უფრო მარტივად – შეუძლებელია უფრო უკეთესი განთავსება).

რაც შეეხება ნახაზზე 1.1 მოცემულ *A*-დან *B*-სკენ ან *G*-ისკენ გადაადგილებას, ეს არის პარეტო-მოგება² (*Pareto Gain*). ორივე შემთხვევაში სუბსი კარგად მისდის საქმე და არც დავითია ცუდ მდგომარეობაში. თუ *B* და *G* დონეები შესაძლო განთავსებაა, რისი წარმოებაც შეიძლება, მაშინ აღნიშნული წერტილები პარეტო-ეფექტიანია.

A-დან *D*-სკენ გადაადგილების დროს შეიძლება ითქვას, რომ დავითი უკეთესადაა, სუბი კი, უარესად. პარეტო-კრიტიკრიუმი ამის შესახებ არაფერს ამბობს. თუ ზუსტად არ შევაფასებთ ორივეს სარგებლიანობის მნიშვნელობას, ვერ შევძლებთ ამ ცვლილებების შეფასებას. ამგვარად, პარეტო-პრინციპი მხოლოდ შეზღუდულად გამოიყენება, როცა განთავსებათა ერთმანეთთან შედარება ხდება ეფექტიანობის მიხედვით და მხოლოდ შესაძლებლობას გვაძლევს შევაფასოთ ნახაზზე 1.1 განთავსებათა ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ ან სამხრეთ-დასავლეთისკენ გადაადგილება. მაგრამ ამაზე მეტის თქმა შეუძლებელია³.


ნახაზზე 1.2 მოცემულია სანარმოო შესაძლებლობების ზღვარი, რომელიც იმ წერტილთა სიმრავლეა, რა რაოდენობაც შეუძლია აწარმოოს ფირმამ.

ასევე დასაშვებია ზღვარს შიგნით არსებული წერტილების განხილვაც, რომლებიც პარეტო-არაეფექტიანია. თუ გადაადგილება დაიწყება ისეთი წერტილიდან, როგორცაა *C*, შესაძლებელია ერთ ინდივიდს მიეცეს მეტი, მეორესთვის დაკლების ხარჯზე. ზღვარზე მდებარე *C* წერტილზე პარეტო-

² ზოგიერთი ავტორი მეტი სიზუსტისთვის ასეთი მოვლენის შესაფასებლად იყენებს „პარეტო-გაუმჯობესების“ ტერმინს, როცა ერთი ინდივიდის მდგომარეობა უმჯობესდება, მეორისთვის მდგომარეობის გაუარესების გარეშე (ი.გ.).

³ გაიხსენეთ თეორია მომხმარებლის გამოხატული უპირატესობების შესახებ: მიკროეკონომიკა, ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩაველიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ., სახელმძღვანელო, მესამე შეესებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, გვ. 80-81.

მოგება შეუძლებელია, ამიტომ მისი მსგავსი ყველა ნერტილი პარეტო-ეფექტიანი უნდა იყოს. ამგვარად, ფირმის მფლობელი არასოდეს აირჩევს ზღვარს შიგნით არსებულ არაეფექტიან განთავსებას. ის, თუ ზღვარზე არსებული პარეტო-ეფექტიანი რომელი ნერტილი იქნება სასურველი, დამოკიდებულია იმაზე, თუ მფლობელისთვის ორ პიროვნებას შორის რომლის სარგებლიანობაა უფრო მნიშვნელოვანი.



ნახ. 1.2. ეფექტიანობის ზღვარი

სრულყოფილი კონკურენცია და პარეტო-ეფექტიანობა. ისმის შეკითხვა: თავისუფალი ბაზარი თავად მივა პარეტო-ეფექტიანობამდე თუ სამთავრობო ჩარევა მიიყვანს მას იქამდე? თუ ყველა ბაზარი სრულყოფილად კონკურენტული თავისუფალი ბაზარია, მიღწეული ნონასწორობა პარეტო-ეფექტიანი იქნება მთლიანად ეკონომიკაში. ადამ სმითის „უხილავი ხელი“ კეთილდღეობის ეკონომიკის თანამედროვე თეორიის საფუძველია.

კონკურენტული ნონასწორობა თავისუფალ ბაზრებზე. დავუშვათ არსებობს ბევრი მწარმოებელი, ბევრი მყიდველი და მხოლოდ ორი პროდუქტი: საკვები და ფილმი. თითოეული ბაზარი თავისუფალია, არარეგულირებადი და სრულყოფილად კონკურენტული. დავუშვათ, ნონასწორობა მიღწეულია – საკვების ფასია 5 გირვანქა სტერლინგი, ხოლო ფილმის – 10 გირვანქა სტერლინგი. ასევე პირობად მივიღოთ, რომ სამუშაო ძალა არის წარმოების ცვალებადი ფაქტორი და მშრომელებს თანაბრად მოსწონთ სამსახურის არაფულადი მხარე ორივე სახეობის წარმოებაში. **განვიხილოთ თავისუფალ ბაზრებზე კონკურენტული ნონასწორობის შვიდი საფეხური:**

1. ბოლო წარმოებული ფილმი მომხმარებლის სარგებლიანობას 10 გირვანქა სტერლინგით ზრდის. მას რომ უფრო მცირედით (მეტად) გაეზარდა დამატებითი სარგებლიანობა, ბოლო მომხმარებელი შეიძენდა ნაკლებ (მეტ) ფილმს. ამის მსგავსად ბოლო გაყიდულმა საკვებმა მომხმარებელს 5 გირვანქა სტერლინგის დამატებითი სარგებლიანობა უნდა მოუტანოს. მომხმარებელს შეუძლია ორი ერთეული საკვები ($2 \times 5 = 10$ გირვანქა სტერლინგის სარგებლიანობა) გადაცვალოს ერთ ფილმზე (10 გირვანქა სტერლინგის სარგებლიანობა) თავისი ერთობლივი სარგებლიანობის შეცვლის გარეშე.
2. თითოეული ფილმის ზღვრული დანახარჯი თანაბრად აწესებს ფასს, ამიტომ ბოლო საკვების ზღვრული დანახარჯი იქნება 5 გირვანქა სტერლინგი და ბოლო ფილმის კი – 10.
3. კონკურენტული ნონასწორობის პირობებში ცვლადმა ფაქტორმა (სამუშაო ძალამ) უნდა გამოიმუშაოს ხელფასის ერთნაირი განაკვეთი მრეწველობის ორივე დარგში. სხვა შემთხვევაში მუშას მიეცემა სტიმული, რათა თავისი შრომა გადაიტანოს იმ დარგში, სადაც უფრო მაღალ ხელფასს მისცემენ.
4. მრეწველობის ორივე დარგში გამოშვების ზღვრული დანახარჯი არის ხელფასი გაყოფილი შრომის ზღვრულ პროდუქტზე. უფრო მაღალი ხელფასი ზრდის ზღვრულ დანახარჯს. მაგრამ უფრო მაღალი ზღვრული ფიზიკური პროდუქტი ნიშნავს, რომ ერთი დამატებითი ერთეულის დასამზადებლად უფრო ნაკლები დამატებითი სამუშაო ძალაა საჭირო. ეს კი ამცირებს ზღვრულ დანახარჯს.

5. რადგან ხელფასი მრეწველობის ორივე დარგში თანაბარია და საკვების ზღვრული დანახარჯი (5 გირვანქა სტერლინგი) არის ფილმის ზღვრული დანახარჯის (10 გირვანქა სტერლინგი) ნახევარი, სამუშაო ძალის ზღვრული ფიზიკური პროდუქტი ორჯერ მაღალი უნდა იყოს კვების მრეწველობაში, ვიდრე ფილმის მრეწველობაში.
6. ერთი ერთეულით ფილმის გამოშვების შემცირება და სამუშაო ძალის გადანაცვლება საკვების წარმოებაში, ორი ერთეულით გაზრდიდა საკვების გამოშვებას. სამუშაო ძალის ზღვრული ფიზიკური პროდუქტი ორჯერ მაღალია, ვიდრე საკვების წარმოებაში. ვარგისი რესურსის განთავსება ორ დარგს შორის საშუალებას აძლევს საზოგადოებას, ორი საკვები გადაცვალოს ერთ ფილმში.
7. პირველი საფეხური გვიჩვენებს, რომ მომხმარებელს შეუძლია ორი საკვები გადაცვალოს ერთ ფილმში, მათი სარგებლიანობის შეცვლის გარეშე. მე-6 საფეხური გვიჩვენებს, რომ რესურსების განთავსებით მწარმოებლები გადაცვლიან ორ საკვებს ერთ ფილმში. აქედან გამომდინარე, არ არსებობს სხვა შესაძლო რესურს-გადანაწილება, რაც გააუმჯობესებდა საზოგადოების მდგომარეობას. რადგან პარეტო-მოგება შეუძლებელია, სანყისი მდგომარეობა – კონკურენტული ნონასწორობა ორივე ბაზარზე – პარეტო-ეფექტიანია.

აღსანიშნავია, რომ ამ მნიშვნელოვან შედეგში გადამწყვეტ როლს ფასები ასრულებენ⁴. ფასი, ჯერ ერთი, გარანტიას იძლევა, რომ ნონასწორული კონკურენციის სანყისი მდგომარეობა, მართლაც, ნონასწორულია. ასევე, მიწოდებული და მოთხოვნილი რაოდენობის დაბალანსებით, ფასი განაპირობებს იმასაც, რომ შესაძლებელია მოხმარებული პროდუქტის საბოლოო რაოდენობის წარმოება. ფასი გვარწმუნებს, რომ ეს ვარგისი განთავსებაა.

მაგრამ კონკურენტული ნონასწორობის პირობებში ფასები მეორეხარისხოვან როლს ასრულებენ. ვინაიდან, ყოველი მომხმარებელი და მწარმოებელი ფასის მიმღებია და თითოეულმა იცის, რომ არ შეუძლია საბაზრო ფასზე ზემოქმედება. ჩვენს მაგალითში თითოეულმა მომხმარებელმა იცის, რომ საკვების ნონასწორული ფასი არის 5 გირვანქა სტერლინგი და ფილმის, კი – 10. თითოეული მომხმარებელი თავისთავად დარწმუნებულია, რომ შეძენილი ბოლო ფილმი ორჯერ მეტად ზრდის სარგებლიანობას, ვიდრე შეძენილი ბოლო საკვები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომხმარებელს შეუძლია მოცემული შემოსავლით შეიძინოს ის, რაც მას გაუუმჯობესებს მდგომარეობას.


ამგვარად, თავისი ინდივიდუალური მოქმედებით, ყოველი მომხმარებელი როცა მოცემული ფასების წინაშე აღმოჩნდება, თავისთავად მიმართავს ერთი ფილმის გადაცვლას ორ საკვებში, სარგებლიანობაში ცვლილების გარეშე. ასევე, ყოველი მწარმოებელი, როცა ადგენს საკუთარ ზღვრულ დანახარჯს, რომელიც გამოშვების ფასის ტოლია, დარწმუნებულია, რომ ფილმის ზღვრული დანახარჯი ორჯერ მეტია საკვების ზღვრულ დანახარჯზე. ამგვარად, დამატებითი ფილმის შექმნა საზოგადოებას ორჯერ მეტი რესურსი უჯდება დამატებით საკვებთან შედარებით. წარმოების ხელახალი მოწყობით, მრეწველობის დარგებს შორის სამუშაო ძალის გადაადგილებით, საზოგადოებას შეუძლია ორი საკვები გადაცვალოს ერთ ფილმში და გააკეთოს ისეთი არჩევანი, რომელიც მომხმარებლის სარგებლიანობაზე გავლენას ვერ მოახდენს.

ამგვარად, „უხილავი ხელით“ ფასებს ის მომხმარებლები, რომლებიც თავიანთი ინტერესებით ხელმძღვანელობენ, მიჰყავს სანარმოო რესურსების პარეტო-ეფექტიან განთავსებამდე. ვერავინ გაიუმჯობესებს მდგომარეობას, სხვისი მდგომარეობის გაუარესების გარეშე.

ზემოაღნიშნული გამოსახულია ნახაზზე 1.3. DD არის ერთ-ერთ პროდუქტზე, ფილმზე საბაზრო მოთხოვნის მრუდი. P_1 ფასში მოთხოვნილია Q_1 რაოდენობა. მაგრამ ბოლო მოთხოვნილმა ფილმმა მომხმარებლის სარგებლიანობა უნდა გაზარდოს P_1 გირვანქა სტერლინგით, სხვა შემთხვევაში მყიდველი შეიძენს Q_1 -ზე მეტ ან ნაკლებ ფილმს. აქედან გამომდინარე, DD აგრეთვე გვიჩვენებს

⁴ პარეტო-ეფექტიანობის შესახებ გაიხსენეთ: მიკროეკონომიკა, ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ., სახელმძღვანელო, მესამე შეესებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2014, თემა 19.

მომხმარებლის მიერ შექმნილი ფილმის ბოლო ერთეულის ზღვრულ სარგებლიანობას. როცა, Q_1 ფილმების რაოდენობაა შექმნილი, ბოლო ფილმი მომხმარებლის სარგებლიანობას ზუსტად P_1 გირვანქა სტერლინგით ზრდის. Q^* -ზე ნაკლები ნებისმიერი ფილმის გამოშვების დროს ფილმის ზღვრული სარგებლიანობა აჭარბებს საკვების ზღვრულ სარგებლიანობას ერთი ზედმეტი ფილმის ასანაზღაურებლად. Q^* -ზე ზემოთ ფილმის ზღვრული სარგებლიანობა ნაკლებია, ვიდრე გამოყენებული საკვების ზღვრული სარგებლიანობა. E ნონასწორული წერტილი ფილმისთვის და შესაბამისი ნონასწორული წერტილი საკვების ბაზარზე გარანტიას იძლევა, რომ რესურსები ეფექტიანადაა განთავსებული ორ დარგს შორის.



ნახ. 1.3. კონკურენტული ნონასწორობა და პარეტო-ეფექტიანობა

მრეწველობის კონკურენტულ დარგში ფილმების მიწოდების SS მრუდი არის ფილმის ზღვრული დანახარჯი. ცვლად ფაქტორებს (მაგალითად სამუშაო ძალას) არა მარტო ფილმის მრეწველობაში, არამედ საკვების მრეწველობაშიც ზღვრული ფორმით უხდებიან. სამუშაო ძალის მობილურობის გარანტია ის არის, რომ ხელფასის განაკვეთი მრეწველობის ორივე დარგში თანაბარია. აქედან გამომდინარე, ბოლო ფილმის წარმოების ზღვრული დანახარჯი უნდა იყოს იმ საკვების ღირებულება, რომელიც მოხმარდა სამუშაო ძალის ბოლო ერთეულს, ფილმის და არა საკვების შესაქმნელად.

ფასების გარანტია ისიც არის, რომ მრეწველობის ორივე დარგი ნონასწორულია. ნახაზზე 1.3 ნონასწორულ E წერტილზე ბოლო ფილმის ზღვრული სარგებლიანობა უდრის ზღვრულ დანახარჯს. მაგრამ ბოლო ფილმის ზღვრული სარგებლიანობა უდრის მოხმარებული საკვების ღირებულებას, ანუ საკვების ფასი გამრავლებული საკვების რაოდენობაზე, რასაც წინ უსწრებდა სამუშაო ძალის გამოყენება ამ ბოლო ფილმის შესაქმნელად. მაგრამ, საკვების მრეწველობაც ნონასწორულია.

ამგვარად, თუ საკვების მრეწველობა კონკურენტულ ნონასწორობაშია, ფილმის წარმოებისთვის ზღვრული დანახარჯის მრუდი არის დამატებითი გირვანქა სტერლინგის სარგებლიანობა, რაც დაიხარჯა დეფიციტური რესურსების გამოყენებით ფილმის და არა ზედმეტი საკვების შესაქმნელად. ესაა ალტერნატიული დანახარჯი იმ რესურსებისთვის, რაც გამოყენებულია ფილმის წარმოებაში. ფილმის მრეწველობაში ნონასწორობა ფილმის ზღვრული სარგებლიანობის გატოლებით საკვების იმ ზღვრულ სარგებლიანობასთან, რომელიც დაიხარჯა ფილმისთვის, ნათელყოფს იმას, რომ საზოგადოების რესურსები ეფექტიანადაა განთავსებული.

Q^* -ის ნონასწორულ რაოდენობაზე ნაკლები ფილმის ნებისმიერი გამოშვების დროს მეორე ფილმის მოხმარების ზღვრული სარგებლიანობა გადააჭარბებს საკვების მოხმარების იმ ზღვრულ შეფასებას, რაც უნდა დაიხარჯოს ამ ზედმეტი ფილმის საწარმოებლად. Q^* -ზე მეტი ფილმის გამოშვების დროს, საზოგადოებას დასჭირდება ძალიან ბევრი რესურსი ფილმის მრეწველობაში. ბოლო ფილმის ზღვრული ღირებულება უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე იმ საკვების ზღვრული ღირებულება, რომელიც იწარმოება რესურსების გადანაწილებით საკვების წარმოებაში. კონკურენტული ნონასწორობა გვარწმუნებს, რომ

არ არსებობს რესურსების ისეთი გადანაწილება მრეწველობის დარგებს შორის, რომელიც ყველა მომხმარებელს გაუუმჯობესებდა მდგომარეობას.

სამართლიანობა და ეფექტიანობა. წინა ნაწილში დავინახეთ, რომ პარეტო-ეფექტიანი განთავსების უსასრულოა მიიღწევა შემოსავლის ან სარგებლიანობის ნებისმიერი სხვადასხვაგვარი განაწილებით საზოგადოების წევრებს შორის. ახლა ვნახავთ, რომ კონკურენტული წონასწორობა ყველა ბაზარზე განაპირობებს ერთ განსაკუთრებულ პარეტო-ეფექტიან განთავსებას. რა განსაზღვრავს იმას, თუ რომელ პარეტო-ეფექტიან განაწილებას ანიჭებს უპირატესობას კონკურენტული წონასწორობა?

ადამიანებს აქვთ მრავალი თანდაყოლილი უნარი, აგრეთვე ფლობენ „ადამიანურ“ კაპიტალს და საფინანსო ქონების განსხვავებულ რაოდენობას. ეს განსხვავებები მათ შესაძლებლობას აძლევს გამოიმუშაონ სხვადასხვა ოდენობის შემოსავალი საბაზრო ეკონომიკაში. აღნიშნული სხვაობა აგრეთვე გავლენას ახდენს სამომხმარებლო მოთხოვნაზეც. ბრაზილიაში, სადაც შემოსავალი და ქონება მეტად არათანაბრადაა განაწილებული, დიდ ფუფუნებად ითვლება მოსამსახურის ყოლა. შვედეთში კი, სადაც შემოსავლის და ქონების უფრო თანაბარი განაწილებაა, თითქმის არავინ აძლევს თავს უფლებას იყოლიოს მოსამსახურე.

ამგვარად, თანდაყოლილი შესაძლებლობების – უნარის, „ადამიანური“ კაპიტალისა და ქონების სასტარტო განაწილება, შემოსავლის მიღების პოტენციალზე ზემოქმედებით, განსაზღვრავს სამომხმარებლო მოთხოვნის ტიპს ეკონომიკაში. მოთხოვნის განსხვავებული ტიპები მოთხოვნის სხვადასხვა მრუდებს გულისმობენ ინდივიდუალური პროდუქტებისთვის, ამასთან – განსაზღვრავენ სხვადასხვა წონასწორულ ფასსა და რაოდენობას. შემოსავლის მიღების სანყისი პოტენციალის განაწილების შეცვლით, პრინციპულად, შეგვიძლია ვაიძულოთ ეკონომიკა კონკურენტული წონასწორობის დროს აირჩიოს პარეტო-ეფექტიანი განთავსების ნებისმიერი შესაძლო ვარიანტი.

დარღვევები და მეორეხარისხოვანი ამოცანა (*Distortions and the Second Best*). კონკურენტული წონასწორობა პარეტო-ეფექტიანია, რადგან იმ მწარმოებლების (რომლებიც ზღვრულ დანახარჯებს ფასს უთანაბრებენ) და იმ მომხმარებლების (რომლებიც ზღვრულ სარგებელს ფასს უთანაბრებენ) ქმედებები იმის გარანტიაა, რომ პროდუქტის წარმოების ზღვრული დანახარჯი გაუტოლდება მის ზღვრულ სარგებელს მომხმარებლისთვის.

დარღვევაა, როცა პროდუქტის წარმოების პროცესში საზოგადოებრივი ზღვრული დანახარჯები არ უდრის საზოგადოებრივ ზღვრულ სარგებელს – მიღებულს პროდუქტის მოხმარებით.


დაშვებული იყო, რომ მთავრობას შეუძლია გადასახადების და კეთილდღეობის შეღავათების გამოყენებით გადაანაწილოს შემოსავლის მიღების პოტენციალი და ამით გააძლიეროს თანაბრობის ფენომენი ან საბაზრო ეკონომიკას მიანდოს რესურსების განთავსების ეფექტიანობისთვის ზრუნვა. საინტერესოა, რამდენადაა შესაძლებელი აღნიშნული პრობლემის ასე მარტივად გადაჭრა?

დაბეგრა, როგორც დამახინჯება

თუ მთავრობას სურს ღარიბების დახმარება, მან საამისოდ უნდა დაბეგროს მდიდრების შემოსავალი ან ის პროდუქტები, რომლებსაც ამ კატეგორიის მოსახლეობა იძენს. გამარტივების მიზნით კვლავ დავუშვათ, რომ ეკონომიკაში არსებობს მხოლოდ ორი პროდუქტი: ფილმი და საკვები. თუ საკვებს იძენს მდიდარიც და ღარიბიც, ფილმის ნახვა, მხოლოდ მდიდრებს შეუძლია. თუ მთავრობას სურს ღარიბების შემოსავლის გაზრდა, მან გადასახადი უნდა ამოიღოს ფილმიდან.

ნახაზზე 1.4 ნაჩვენებია, ფილმზე გადასახადის დაწესებით, როგორ აჭარბებს მომხმარებლისთვის ფილმის მთლიანი ღირებულება ფილმის იმ ფასს, რომელიც დაქვითვის შემდგომ მიიღება და რომელსაც ფილმის მწარმოებლები აწესებენ. ამ ორ ფასს შორის სხვაობა გაყიდული ფილმის თითოეული ერთეულისთვის დაწესებული გადასახადის ტოლია. მომხმარებლები გაზრდილ ფასს ათანბრებენ იმ ზღვრულ სარგებელთან, რასაც ისინი ბოლო ფილმიდან იღებენ, მაგრამ მწარმოებლებისთვის ფილმის ზღვრული დანახარჯი გათანაბრდება უფრო დაბალ ფასთან გადასახადის გამოკლებით. *DD* გვიჩვენებს ფილმებზე მოთხოვნას და ბოლო ფილმის ზღვრულ სარგებელს მომხმარებლისთვის. *SS* გვიჩვენებს მიწოდებული

ფილმების რაოდენობას მწარმოებლის მიერ დანესებულ ნებისმიერ ფასად. ეს უკანასკნელი არის, აგრეთვე, ფილმის წარმოების ზღვრული საზოგადოებრივი ხარჯი. დავუშვათ, ფილმის თითოეული ერთეულის გადასახადი უდრის EF ვერტიკალურ მონაკვეთს. გადასახადის ჩათვლით იმ ფასის საჩვენებლად, რომელიც საჭიროა მწარმოებლის წასაქეზებლად, რათა აწარმოოს შემდგომი გამოშვება, უნდა დავხაზოთ SS' მიწოდების ახალი მრუდი, რომელიც მუდმივ ვერტიკალურ EF მონაკვეთს დაემთხვევა SS -ის ზემოთ.



ნახ. 1.4. ფილმებზე გადასახადი

ფილმების წონასწორული რაოდენობა არის Q . მომხმარებელი იხდის P_1 ფასს, მწარმოებელი იღებს P_2 ფასს, თითოეულ ფილმზე გადასახადი არის EF მონაკვეთი. Q წონასწორული რაოდენობის დროს ზღვრული სამომხმარებლო სარგებელი იქნება P_1 , მაგრამ ზღვრული საზოგადოებრივი დანახარჯი გაუტოლდება P_2 -ს. საზოგადოება მიიღებს წმინდა მოგებას მეტი ფილმის წარმოებით. ამიტომ წონასწორული რაოდენობა Q საზოგადოებისთვის არაეფექტიანია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კონკურენტული წონასწორობის პირობებში საფასო პოლიტიკა უკვე აღარ ათანაბრებს ფილმის წარმოების საზოგადოებრივ ზღვრულ დანახარჯს, ფილმის მოხმარების ზღვრულ საზოგადოებრივ სარგებელთან. ფილმზე გადასახადის დანესება ზღუდავს ფილმის წარმოებას. მეორე ფილმი საზოგადოებრივ სარგებელს უფრო მეტს დაუმატებს, ვიდრე საზოგადოებრივ დანახარჯს.

იმ პირობებში, როცა საკვების წარმოება დაუბეგრავია და კონკურენტულ წონასწორობაშია, მაშინ ფილმის წარმოების ზღვრული დანახარჯი არის ზუსტად იმ ზღვრული სარგებლის ღირებულება, რომელიც დაიხარჯა მეტი საკვების წარმოებლად იმავე რესურსების გამოყენებლობის გამო. მაგრამ, როცა ფილმია დაბეგრული, მეორე ფილმის ზღვრული საზოგადოებრივი სარგებელი აჭარბებს თავის ზღვრულ დანახარჯს. აქედან გამომდინარე, მომხმარებლისთვის მეორე ფილმის ზღვრული ღირებულება აჭარბებს საკვების იმ ბოლო ერთეულის ზღვრულ ღირებულებას, რომელიც აწარმოეს მეორე ფილმისთვის საჭირო რესურსებით. საკვების წარმოებიდან ფილმის წარმოებაში რესურსების გადანაწილებით ფილმის დამატებითი მომხმარებელი შეძლებს აუნაზღაუროს საკვების მომხმარებელს ის ღირებულება, რომელიც დაიხარჯა, მაგრამ მაინც მიიღოს ჭარბი სარგებელი. პარეტო-მოგების მიღება შესაძლებელია, ვინაიდან ზოგიერთების მდგომარეობა გაუმჯობესდება სხვათათვის გაუარესების გარეშე.

თუ ეკონომიკა კონკურენტულია და მთავრობა კმაყოფილია შემოსავლის მიღების პოტენციალის განაწილებით, არ უნდა გაიზარდოს გადასახადი. სრულყოფილად კონკურენტული თავისუფალი საბაზრო წონასწორობა რესურსებს ეფექტიანად განათავსებს. შეუძლებელია რესურსების ისეთი გადანაწილება, რომ ზოგიერთს გაუმჯობესონ მდგომარეობა სხვისი პირობების გაუარესების გარეშე.

თუ მთავრობა შემოსავლის ამ განაწილებას არასამართლიანად მიიჩნევს, იგი საზოგადოების ერთ ნაწილს გადასახადს გაუზრდის, რათა უზრუნველყოს სხვების დაფინანსება. თვით გადასახადების გაზრდის ფაქტი იწვევს დამახინჯებას. საფასო პოლიტიკა, რომელსაც კონკურენტული ბაზარი

ახორციელებს, უკვე აღარ ათანაბრებს დაბეგრილი პროდუქტის ზღვრულ სარგებელს მის ზღვრულ დანახარჯთან. ეკონომიკაში მიღებული ნონასწორობა არაეფექტიანია, საზოგადოება სხვადასხვა რესურსებს არასწორი გამოშვებისთვის დახარჯავს.

რა უნდა მოიმოქმედოს მთავრობამ? პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აფასებს მთავრობა სიტუაციას. რაც უფრო მეტად არ მოსწონს მას თავისუფალი ბაზრის მიერ შემოსავლის შეთავაზებული განაწილება (ე.ი. ისეთი განაწილება, რაც ეფუძნება სხვაობას ადამიანის ბუნებრივ შესაძლებლობასა, „ადამიანურ“ კაპიტალსა და ფინანსურ სიმდიდრეს შორის), მით უფრო მეტად სჯერა, რომ დამახინჯებული გადასახადის არაეფექტიანი დანახარჯი არის ის ფასი, რომელიც ადამიანებმა უნდა გადაიხადონ შემოსავლისა და სარგებლის უფრო სამართლიანი განაწილების გადასარჩენად. და პირიქით, რაც უფრო მეტად გრძნობს მთავრობა, რომ შეუძლია მოითმინოს თავისუფალი ბაზრის მიერ შეთავაზებული, შემოსავლის განაწილება, მით უფრო მეტ წინააღმდეგობას გაუწევს დამახინჯებულ დაბეგვრას და საშუალებას მისცემს კონკურენტულ თავისუფალ ბაზრებს ეფექტიანად განათავსონ რესურსები.

ამგვარად, საბაზრო ეკონომიკისადმი განსხვავებული მიდგომის ერთ-ერთი ახსნის არსი სამართლიანობის შეფასებით განსჯაში მდგომარეობს. სამართლიანობის მიღწევა დაბეგვრის გადანაწილებით არ არის ერთადერთი მიზეზი, რომელსაც შეუძლია არაეფექტიანი განთავსება გამოიწვიოს.

მეორეხარისხოვანი განთავსება (*The Second Best*)

აღვნიშნეთ, რომ თუ საკვების ბაზარზე დამახინჯებას ადგილი არ აქვს, ფილმზე გადასახადს მოსდევს არაეფექტიანი განთავსება.

დავუშვათ საკვებზეც აუცილებელია გადასახადის დაწესება. რა ხდება ამ დროს ფილმის წარმოებაში? თუ მიღწეული იქნა საკვებზე გადასახადის აკრძალვა, მაშინ მიიღწევა სანყისი თავისუფალი კონკურენტული ნონასწორობა ორივე წარმოებაში, რომელიც, პარეტო-ეფექტიანია. ამას ეწოდება **პირველხარისხოვანი განთავსება (*First – Best Allocation*)**, რაც განაწილების სრულ ეფექტიანობას ნიშნავს.

ვთქვათ, საკვებზე გადასახადის დაწესება გარდაუვალია, ვინაიდან სახელმწიფოს სჭირდება საგადასახადო შემოსავალი ეროვნული თავდაცვისთვის ან ევროკავშირში თავისი საბიუჯეტო წილის გადასარჩენად. საკვებზე გარდაუვალი გადასახადის შემთხვევაში განვითარდება კი რესურსებს უფრო ეფექტიანად, თუ ფილმის წარმოებაში გადასახადის დაწესების გამო დამახინჯებას ადგილი არ ექნება? ამ შეკითხვაზე უარყოფითად უპასუხეს თავის სტატიაში პროფესორებმა რიჩარდ ლიპსიმ და კელვინ ლანკასტერმა.


დავუშვათ, ორივე წარმოება ნონასწორულია, მაგრამ გადასახადი დაწესებულია საკვებზე. ზღვრული დანახარჯების მრუდი ფილმისთვის გვიჩვენებს კერძო მენარმისთვის იმ რესურსების ალტერნატიულ დანახარჯს, რომელსაც იყენებენ უფრო ფილმის, ვიდრე საკვების საწარმოებლად. მაგრამ ეს უკვე აღარ არის ფილმის წარმოებაში ამ რესურსების საზოგადოებრივი ალტერნატიული დანახარჯი. რატომ? იმიტომ, რომ მენარმეები აფასებენ რესურსებს იმ ღირებულების მიხედვით, რომელიც მენარმეებს შეუძლიათ მიიღონ აღნიშნული რესურსების საკვების წარმოებაში გადატანით. მაგრამ მომხმარებლისთვის საკვების ფასი უფრო მაღალია, ვიდრე მენარმეთა მიერ დაწესებული ღირებულება.

ნახაზი 1.5 გვიჩვენებს, თუ რა ხდება ფილმის ბაზარზე, როცა ადგილი აქვს გადასახადით გამოწვეულ დამახინჯებას საკვების ბაზარზე.

DD არის ფილმზე მოთხოვნის მრუდი და გვიჩვენებს ფილმის მომხმარებლის მიერ მისი ბოლო ერთეულის ზღვრულ შეფასებას. MPC (*Marginal Private Cost*) არის მწარმოებელთა მიერ ფილმის შესაქმნელად გამოყენებული რესურსების ზღვრული კერძო დანახარჯები. ის გვიჩვენებს, რომ

რესურსები, რომელიც ჩაიდო საკვების წარმოებაში, საკვების მწარმოებლებს მოუტანდნენ სარგებელს – ე.ი. მიიღებდნენ წმინდა ფასს.

MSC (Marginal Social Cost) არის რესურსების გამოყენების ზღვრული საზოგადოებრივი დანახარჯი, რომელიც უფრო მეტად გამოსადეგია ფილმისთვის, ვიდრე საკვებისთვის. ის აჭარბებს მწარმეთა ზღვრულ კერძო დანახარჯს, რადგან მათთვის დამატებითი საკვებიდან მომხმარებლის სარგებელი მეტია დამატებითი საკვების ღირებულებაზე.



ნახ. 1.5. მეორეხარისხოვანი განთავსება

როცა არ არსებობს ფილმზე გადასახადი, კონკურენტული წონასწორობა ფილმის წარმოებაში ემთხვევა E' წერტილს, სადაც მოთხოვნის მრუდი კვეთს კერძო ზღვრული დანახარჯის მრუდს, რომელიც არის ასევე ფილმის წარმოების კონკურენტული მიწოდების მრუდი. Q' გამოშვების დროს ზღვრული საზოგადოებრივი დანახარჯი აჭარბებს ზღვრულ საზოგადოებრივ სარგებელს, რომელიც მოცემულია DD მოთხოვნის მრუდის სიმაღლით. ფილმის ზღვრული საზოგადოებრივი დანახარჯისა და ზღვრული საზოგადოებრივი სარგებელის, ტოლობისთვის საჭიროა აიკრიფოს FE^* -ის ტოლი გადასახადი ფილმზე. მაშინ კონკურენტული ფირმის მწარმენი აწარმოებენ Q^* რაოდენობას და მიიღებენ წმინდა ფასს P_1 , ასე მიაღწევენ თავისი ზღვრული კერძო დანახარჯის ტოლობას. მომხმარებლები გადაიხდიან გადასახადის შემცველ ფასს P_2 . ზღვრული საზოგადოებრივი დანახარჯი და ზღვრული საზოგადოებრივი სარგებელი განწონასწორდება E^* წერტილში.

პირველი რიგის განაწილების სანინააღმდეგოდ, სადაც სრული ეფექტიანობა მიიღწევა ნებისმიერი სიმახინჯის მოცილებით, არსებობს მეორე რიგის პრინციპიც (მეორეხარისხოვანი განთავსება), რომლის არსი ასეთია: ვთქვათ, გვანტერესებს მხოლოდ განთავსების ეფექტიანობა. მხედველობაში მისაღებია, რომ ეკონომიკაში ყოველთვის არსებობს გარდაუვალი სიმახინჯე, რომლის მოშორება არ შეგვიძლია. არაგონივრული იქნება ისე მოვექცეთ ბაზრებს, თითქოს ეს სიმახინჯე არ არსებობდეს. ამგვარად, ფილმის წარმოებაში არაეფექტიანი იქნება მიზნად დავისახოთ კერძო ზღვრული დანახარჯისა და კერძო ზღვრული სარგებლის (დანახარჯი-სარგებლის ანალიზი) ტოლობა. უფრო მეტიც, ეფექტიანი აღმოჩნდება, თუ ახალ სიმახინჯეს დავაკისრებთ ფილმის წარმოებას, რათა ხელი შევუწყოთ გარდაუვალი სიმახინჯეების სააღრიცხვო ბალანსს საკვების წარმოებაში.

მეორე რიგის თეორიის თანახმად, თუ მაინც არსებობს სიმახინჯე, მაგალითად, სახელმწიფო გაზრდის ზოგიერთ გადასახადს, მცდარი იქნება ერთ ბაზარზე სიმახინჯეების თავმოყრა, პირიქით, უფრო ეფექტიანი აღმოჩნდება მათი მოქმედების გავრცობა მრავალ ბაზარზე. ნახაზის 1.5 მიხედვით საკვებზე გადასახადი იწვევს ზედმეტად მცირე რაოდენობის საკვების წარმოებას; ამგვარად, ერთადერთი ობიექტი სადაც რესურსები შეიძლება ჩაიდოს, არის ფილმის წარმოება, აქ კი უკვე ზედმეტად ბევრი ფილმი იქნება წარმოებული. ფილმზე გადასახადის დაკისრება ხელს შეუწყობს სააღრიცხვო ბალანსის აღდგენას.

სოციალური კეთილდღეობის ფუნქციები

საზოგადოდ პარეტო-ეფექტიანობა არაფერს ამბობს ადამიანებს შორის კეთილდღეობის განაწილების შესახებ. ერთი პიროვნებისთვის ყველაფრის მიცემა, როგორც წესი, პარეტო-ეფექტიანი იქნება. მაგრამ ხალხის დარჩენილი ნაწილი ასეთ განაწილებას გონივრულს ვერ უწოდებს.

პარეტო-ეფექტიანობა თავისთავად სასურველი მიზანია – თუ არსებობს ადამიანთა ერთი ჯგუფის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების რაიმე სხვა გზა სხვათა დაზარალების გარეშე, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ იგი? მაგრამ, როგორც წესი, არსებობს პარეტო-ეფექტიანი მრავალი განაწილება. რომელი უნდა აირჩიოს მათ შორის საზოგადოებამ?

აქ ყურადღებას გავამახვილებთ კეთილდღეობის ფუნქციის იდეაზე, რომელიც საშუალებას გვაძლევს „შევეკრიბოთ“ სხვადასხვა მომხმარებელთა სარგებლიანობები. უფრო ზოგადად, კეთილდღეობის ფუნქცია გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მოვახდინოთ მომხმარებელთა შორის სარგებლიანობის სხვადასხვა განაწილების კლასიფიკაცია. სანამ ამ იდეიდან გამომდინარე შედეგებს გამოვიკვლევდეთ, მიზანშეწონილია იმის განხილვა, თუ როგორ შეიძლება ინდივიდუალურ მომხმარებელთა უპირატესობების „შეკრება“ „სოციალური უპირატესობების“ ასაგებად.

უპირატესობათა შეკრება. დავუშვათ რომ ეს უპირატესობები ტრანზიტულია. აღვნიშნოთ X -ით კონკრეტული განაწილება – ანუ იმის აღწერა, თუ თითოეული პროდუქტის რა რაოდენობას იღებს თითოეული მომხმარებელი. მაშინ, თუ გვაქვს ორი X და Y განაწილება, თითოეულ i მომხმარებელს შეუძლია თქვას ურჩევნია თუ არა X პროდუქტი Y -ს.

როდესაც გვაქვს ყველა ინდივიდის უპირატესობები, დაგვჭირდება მათი შეკრების ხერხის მოძებნა ჯამური **სოციალური უპირატესობების** მისაღებად. ეს ნიშნავს, რომ თუ ვიცით, როგორ აფასებს ყველა მომხმარებელი სხვადასხვა განაწილებებს, უნდა შეგვეძლოს ამ ინფორმაციის გამოყენება სხვადასხვა განაწილებათა სოციალური კლასიფიკაციის ჩამოსაყალიბებლად. ეს გახლავთ ყველაზე განზოგადებულ დონეზე გასაკეთებელი სოციალური გადაწყვეტილების პრობლემა. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი.

ინდივიდუალურ პრეფერენციათა შეკრების ერთ-ერთ გზას ერთგვარი კენჭისყრის მეთოდი წარმოადგენს. შეგვიძლია შევთანხმდეთ, რომ X „სოციალურად უპირატესია“ Y -ზე, თუ ინდივიდთა უმრავლესობა X -ს ამჯობინებს. თუმცა, ამ მეთოდს ერთი სირთულე ახლავს – მის მიერ მოცემული სოციალური უპირატესობები ტრანზიტული არ არის. განვიხილოთ ცხრილი 1.1.

ცხრილი 1.1. უპირატესობები, რომლებსაც არატრანზიტულ კენჭისყრამდე მივყავართ

პიროვნება A	პიროვნება B	პიროვნება C
X	Y	Z
Y	Z	X
Z	X	Y

აქ მოყვანილია სამი ალტერნატიული განაწილების X, Y და Z სამი ადამიანის მიერ გაკეთებული კლასიფიკაცია. შევნიშნოთ, რომ ამ ადამიანთა უმრავლესობას X ურჩევნია Y -ს, უმრავლესობას Y ურჩევნია Z -ს, და უმრავლესობას Z ურჩევნია X -ს. ამგვარად, ინდივიდუალური პრეფერენციების შეჯამება კენჭისყრის საშუალებით არ გამოდგება, ვინაიდან, ზოგადად, კენჭისყრის შედეგად უბრალო უმრავლესობით მიღებული სოციალური უპირატესობები არ არის წესიერი უპირატესობები, რადგან ისინი არაა ტრანზიტული. რადგან უპირატესობები ტრანზიტული არაა, არ იარსებებს „საუკეთესო“ ალტერნატივა სამი ალტერნატივისგან შემდგარ (X, Y, Z) სიმრავლეში. შედეგი, რომელსაც საზოგადოება აირჩევს, დამოკიდებული იქნება თანმიმდევრობაზე, რომლითაც ეს კენჭისყრა ჩატარდება.

ეს რომ უკეთ დავინახოთ, დავუშვათ, რომ ცხრილში 1.1 ნაჩვენებია 3 ადამიანი გადაწყვეტს კენჭი უყარონ ჯერ X -ს Y -ის წინააღმდეგ, და მერე კი კენჭი უყარონ ამ შეჯიბრში გამარჯვებულს Z -ის

წინააღმდეგ. ვინაიდან, უმრავლესობამ X ამჯობინა Y -ს, მეორე შეჯიბრი იქნება X -სა და Z -ს შორის, რაც ნიშნავს, რომ შედეგი იქნება Z .

რა მოხდება თუ ისინი გადანყვეტენ კენჭი უყარონ Z -ს X -ის წინააღმდეგ, შემდეგ კი ამ შეჯიბრში გამარჯვებულს Y შეადარონ? მაშინ Z გაიმარჯვებს პირველ კენჭისყრაში, Y კი დაამარცხებს Z -ს მეორეში. ამგვარად, რომელი მათგანი იქნება საბოლოო გამარჯვებული, დამოკიდებულია იმ მიმდევრობაზე, რომლითაც ეს ალტერნატივები კენჭისმყრელთა წინაშე წარსდგება.

კენჭისყრის კიდევ ერთი შესაძლო მექანიზმია კენჭისყრა რანგის მიხედვით. აქ თითოეული პიროვნება აფასებს პროდუქტს თავისი უპირატესობის მიხედვით და მას ანიჭებს რიცხვს, რომელიც ამ პროდუქტის რანგს აღნიშნავს: მაგალითად, 1 ენიჭება საუკეთესო ალტერნატივას, 2 მომდევნო და ა.შ. ამის შემდგომ ვაჯამებთ თითოეული ალტერნატივის ქულებს ყველა მომხმარებლისთვის და განვსაზღვრავთ თითოეული ალტერნატივის ჯამურ ქულას, რის შემდეგაც ვამბობთ, რომ სოციალურად უპირატესია ის ალტერნატივა, რომელსაც დაბალი ქულა აქვს.

ცხრილში 1.2 მოცემულია X, Y და Z განაწილებათა შესაძლო უპირატესობების სია ორი მომხმარებლისთვის. თავდაპირველად დავუშვათ, რომ გვაქვს მხოლოდ ორი ალტერნატივა, X და Y . მაშინ ამ მაგალითში A პიროვნების მიერ X -ს მიენიჭება 1 ქულა, ხოლო B პიროვნების მიერ კი, 2 ქულა. Y ალტერნატივის რანგები კი საპირისპირო იქნება. ამგვარად, კენჭისყრის შედეგად მივიღებთ, რომ თითოეულ ალტერნატივას მიენიჭა ჯამური რანგი „3“.

ცხრილი 1.2. არჩევანი X და Y -ს შორის დამოკიდებულია Z -ზე

პიროვნება A	პიროვნება B
X	Y
Y	Z
Z	X

ახლა დავუშვათ, რომ გამოჩნდა ალტერნატივა Z . A პიროვნება X -ს მიანიჭებს 1 ქულას, Y -ს 2 ქულას, ხოლო Z -ს 3-ს. B პიროვნება Y -ს მიენიჭებს 1 ქულას, Z -ს 2 ქულას, ხოლო X -ს 3-ს. ეს ნიშნავს, რომ X -ის ჯამური რანგი იქნება 4, ხოლო Y -ის ჯამური რანგი იქნება 3, ამ შემთხვევაში Y -ს მიენიჭება უპირატესობა X -ის წინააღმდეგ.

ამ ორივე კენჭისყრასთან ერთი პრობლემაა დაკავშირებული – შესაძლებელია მათი შედეგების მანიპულირება არაკეთილსინდისიერი აგენტების მიერ. უმრავლესობის მიხედვით კენჭისყრის მანიპულირება შესაძლებელია ალტერნატივათა მიმდევრობის ისეთი შეცვლით, რომლითაც სასურველი შედეგის მიღება შეიძლება. რანგობრივი კენჭისყრის მანიპულირება შეიძლება ახალ ალტერნატივათა წარმოჩენის გზით, რაც შეცვლის საწყის ალტერნატივათა საბოლოო რანგებს.

ბუნებრივად ჩნდება შეკითვა – არსებობს თუ არა სოციალური გადანყვეტილების მიღების მექანიზმები – უპირატესობების შეკრების გზები – რომლებიც დაცულია ასეთი სახის მანიპულაციებისგან? ჩამოვწეროთ, როგორი უნდა იყოს სოციალური გადანყვეტილების მიღების ჩვენთვის სასურველი მექანიზმი:

1. მოცემული სრული⁵, რეფლექსური⁶ და ტრანზიტული⁷ ინდივიდუალური უპირატესობების სიმრავლისთვის სოციალური გადანყვეტილების მექანიზმის შედეგად მიღებული სოციალური უპირატესობები იმავე თვისებებს უნდა აკმაყოფილებდეს;

⁵ იგულისხმება: „მომხმარებელს შეუძლია გააკეთოს არჩევანი ორ ნებისმიერ კალათას შორის“, ჰელ რ. ვარიანი, დასახელებული ნაშრომი, წიგნი 1, გვ. 53.

⁶ იგულისხმება: „ნებისმიერი კალათა, სულ მცირე, ისევე კარგია, როგორც მისი იდენტური კალათა“, იქვე, გვ.53.

⁷ იგულისხმება: „თუ მომხმარებელს A კალათა ურჩევნია B -ს, ხოლო B კალათა ურჩევნია C -ს შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას A კალათა ურჩევნია C -ს.

2. თუ ყველას X ალტერნატივა ურჩევნია Y ალტერნატივას, მაშინ სოციალური უპირატესობები X -ს უნდა აყენებდეს რანგით მაღლა, ვიდრე Y -ს;

3. უპირატესობები X -სა და Y -ს შორის დამოკიდებული უნდა იყოს მხოლოდ იმაზე, თუ როგორ აფასებენ ამ ორ ალტერნატივას, და არა იმაზე, თუ როგორ აფასებენ სხვა ალტერნატივებს.

თითოეული მოთხოვნა საკმაოდ დამაჯერებელი ჩანს, მიუხედავად ამისა, ძალიან ძნელია ისეთი მექანიზმების მოძებნა, რომელიც სამივეს დააკმაყოფილებს. მართლაც, ქენეთ ეროუმ⁸ დაამტკიცა შემდეგი მნიშვნელოვანი თეორემა:

ეროუს შეუძლებლობის თეორემა: თუ სოციალური გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი აკმაყოფილებს პირველ, მეორე და მესამე მოთხოვნებს, მაშინ ეს არის დიქტატურა. ყველა სოციალური კლასიფიკაცია სინამდვილეში ერთი ინდივიდის კლასიფიკაციაა. ეროუს შეუძლებლობის თეორემა განმაცვიფრებელია. იგი გვიჩვენებს, რომ მორალური გადაწყვეტილების მიღების საკმაოდ ადვილად დასაკმაყოფილებელი და სასურველი მოთხოვნა შეუთავსებელია დემოკრატიათან: არ არსებობს სოციალური გადაწყვეტილებების მიღების „სრულყოფილი“ გზა. არ არსებობს ინდივიდუალური უპირატესობების „შეკრების“ სრულყოფილი გზა სოციალური უპირატესობების მოსაძებნად.

თუ გვსურს ვიპოვოთ ინდივიდუალური უპირატესობების შეკრების საშუალება და ჩამოვაცალიბოთ სოციალური უპირატესობები, იძულებული ვიქნებით დავთმოთ ეროუს თეორემაში აღწერილი სოციალური გადაწყვეტილების მექანიზმის სამი თვისებიდან ერთ-ერთი.

თუ ვაპირებთ შეველიოთ ზემოთ აღწერილი სოციალური კეთილდღეობის ფუნქციის ერთ-ერთ სასურველ თვისებას, ეს შეიძლება იყოს მე-3 თვისება – სოციალური უპირატესობები ორ ალტერნატივას შორის დამოკიდებულია მხოლოდ ამ ორი ალტერნატივის რანგზე. თუ ასე მოვიქცევით შესაძლებელი გახდება გარკვეულ სახეობათა რანგობრივი კენჭისყრების ჩატარება.

როდესაც მოცემულია თითოეული i ინდივიდის უპირატესობები განანილებასთან მიმართებით, შეგვიძლია ავაგოთ სარგებლიანობის ფუნქციები $u_i(X)$, რომლებიც აჯამებს ინდივიდთა უპირატესობებს: i პიროვნებას X ურჩევნია Y -ს მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც $u_i(X) > u_i(Y)$. რა თქმა უნდა, ეს ფუნქციები სარგებლიანობის ყველა სხვა ფუნქციების მსგავსია – შესაძლებელია მათი ნებისმიერი ტრანსფორმაცია, რომელიც შეინარჩუნებს უპირატესობათა კლასიფიკაციას. არ არსებობს სარგებლიანობის ასახვის უნიკალური გზა.

მაგრამ ავიღოთ სარგებლიანობის ერთ-ერთი სახე და მხოლოდ ამ სახით ვისარგებლოთ. მაშინ ინდივიდთა უპირატესობიდან სოციალური უპირატესობის მიღების ერთი გზა იქნება ინდივიდუალური სარგებლიანობების შეკრება და მიღებული რიცხვის წარმოდგენა ერთგვარ სოციალურ სარგებლიანობად. ეს ნიშნავს, რომ X განანილება სოციალურად უპირატესია Y განანილებაზე თუ:

$$\sum_{i=1}^n u_i(X) > \sum_{i=1}^n u_i(Y),$$

სადაც n არის საზოგადოებაში შემავალ ინდივიდთა რიცხვი.

ასეთი გადაწყვეტა ფუნქციონირებს, მაგრამ, რა თქმა უნდა, იგი სრულიად თვითნებურია, რადგან სარგებლიანობის ჩვენეული არჩევანიც თვითნებურია. ანალოგიურია გადაწყვეტილება ჯამის გამოყენების შესახებ. რატომ არ შეიძლება გამოვიყენოთ სარგებლიანობის შენონილი ჯამი? ან სარგებლიანობის ნამრავლი?

არსებობს ასეთი ჯამური ფუნქციის სახელწოდებაც. მას **სოციალური კეთილდღეობის ფუნქცია** ეწოდება. სოციალური კეთილდღეობის ფუნქცია არის ინდივიდუალური სარგებლიანობის ფუნქციათა რაიმე ფუნქცია: $W(u_1(X), \dots, u_n(X))$. იგი საშუალებას გვაძლევს, მოვახდინოთ სხვადასხვა განანილებათა კლასიფიკაცია, რაც დამოკიდებულია მხოლოდ ინდივიდუალურ უპირატესობებზე და წარმოადგენს თითოეული ინდივიდის სარგებლიანობის ზრდად ფუნქციას.

⁸ Kenneth Arrow, Social choice and Individual Values (New York: Wiley, 1963). ეროუს - სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკაში.

განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი. ერთი განსაკუთრებული შემთხვევა, რომელიც უკვე ვახსენეთ, არის სარგებლიანობის ინდივიდუალურ ფუნქციათა ჯამი:

$$W(u_1, \dots, u_n) = \sum_{i=1}^n u_i.$$

ეს შემთხვევა ზოგჯერ მოიხსენიება, როგორც **ბენტემის⁹ კეთილდღეობის ფუნქცია**. ასეთი ფორმის მცირე განზოგადებაა **სარგებლიანობათა შეწონილი ჯამი**:

$$W(u_1, \dots, u_n) = \sum_{i=1}^n a_i u_i$$

აქ a_1, \dots, a_n წონების რიცხვებია, რომლებიც მიგვითითებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია თითოეული აგენტის სარგებლიანობა საერთო სოციალური კეთილდღეობისთვის. ცხადია, რომ თითოეული a_i დადებითი რიცხვია.

კეთილდღეობის ფუნქციის კიდევ ერთი საინტერესო მაგალითია მინიმალური ანუ **როულზის¹⁰ სოციალური კეთილდღეობის ფუნქცია**:

$$W(u_1, \dots, u_n) = \min\{u_1, \dots, u_n\}.$$

კეთილდღეობის ეს ფუნქცია გვეუბნება, რომ განაწილების სოციალური კეთილდღეობა დამოკიდებულია მხოლოდ ყველაზე უარესი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე აგენტის კეთილდღეობაზე, რომელსაც მინიმალური სარგებლიანობა აქვს.


ყველა ეს ფუნქცია წარმოადგენს სარგებლიანობის ინდივიდუალურ ფუნქციათა შედარების შესაძლო გზებს. ისინი ასახავენ სხვადასხვა ეთიკურ შეხედულებებს სხვადასხვა აგენტების კეთილდღეობათა შედარების შესახებ. ერთადერთი შეზღუდვა, რომელსაც კეთილდღეობის ფუნქციის სტრუქტურას დაუჭვემდებარებთ, არის ის, რომ იგი ზრდადი უნდა იყოს თითოეული მომხმარებლის სარგებლიანობის მიმართ.

კეთილდღეობის მაქსიმიზაციის გრაფიკული გამოსახვა მოცემულია ნახაზზე 1.6 „ა“ და „ბ“, სადაც U სიმრავლე წარმოადგენს შესაძლო სარგებლიანობათა სიმრავლეს ორი ინდივიდის შემთხვევაში. ეს სიმრავლე ცნობილია **სარგებლიანობის შესაძლებლობათა სიმრავლის** სახელწოდებით. ამ სიმრავლის საზღვარი – წარმოადგენს პარეტო-ეფექტიან განაწილებებთან დაკავშირებულ სარგებლიანობის დონეების სიმრავლეს. თუ განაწილება მდებარეობს სარგებლიანობის შესაძლებლობათა სიმრავლის საზღვარზე, მაშინ არ არსებობს სხვა შესაძლო განაწილება, რომელიც ინვესს უფრო მაღალ სარგებლიანობას ორივე ინდივიდისთვის. ამ შემთხვევაში განურჩევლობის მრუდებს **იზოკეთილდღეობის მრუდები** ეწოდება, ვინაიდან ისინი ასახავენ სარგებლიანობის იმ განაწილებებს, სადაც კეთილდღეობის დონე თანაბარია. როგორც ყოველთვის აქაც ოპტიმალური წერტილი ხასიათდება **მხების პირობით¹¹**. მაქსიმალური კეთილდღეობის ეს წერტილი პარეტო-ეფექტიანიც უნდა იყოს – იგი უნდა მდებარეობდეს სარგებლიანობის შესაძლებლობათა სიმრავლის საზღვარზე. ასეთია A წერტილი (ნახ. 1.6 „ა“).

⁹ ჯერემი ბენტემი (Jeremy Bentham, 1748-1832) – სარგებლიანობის სკოლის დამფუძნებელი მორალურ ფილოსოფიაში, რომელიც უმაღლეს საქონელს უდიდეს ბედნიერებად თვლიდა ხალხის უდიდესი რაოდენობისთვის.

¹⁰ ჯონ როულზი (John Rawls) – თანამედროვე მორალისტი-ფილოსოფოსი, რომელმაც მოითხოვა სამართლიანობის ამ პრინციპის დაცვა.

¹¹ მხების პირობა - გაიხსენეთ: მიკროეკონომიკა, ხარაიშვილი ე., გაგნიძე ი., ჩავლეიშვილი მ., ნაცვლიშვილი ი., ნაცვალაძე მ., სახელმძღვანელო, მესამე შევსებული და გადაშუშავებული გამოცემა, თბ., 2014, გვ. 76.



ნახ. 1.6. „ა“ კეთილდღეობის მაქსიმიზაცია. „ბ“ სარგებლიანობათა შენონილი ჯამის სახის კეთილდღეობის ფუნქციის მაქსიმიზაცია.

აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი პარეტო-ეფექტიანი განაწილება უნდა იყოს კეთილდღეობის რომელიმე ფუნქციის მაქსიმუმის ნერტილი, რაც ნახაზზე 1.6. „ბ“ მოცემულია *A* ნერტილით. ნახაზზე მოცემულია **იზოკეთილდღეობის წრფეები**, რომლებიც ასახავენ იმ დანახარჯებს, რაც საჭიროა კეთილდღეობის მაქსიმუმის ამა თუ იმ დონის მისაღწევად. საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ: კეთილდღეობის თითოეული მაქსიმუმი არის პარეტო-ეფექტიანი განაწილება და თითოეული პარეტო-ეფექტიანი განაწილება კეთილდღეობის მაქსიმუმი.

შური და თანასწორობა (კეთილდღეობა)

ჩვენ ვამბობთ, რომ განაწილება **თანასწორია**, თუ არც ერთ აგენტს არ ურჩევნია რომელიმე სხვა აგენტის პროდუქტების კალათა თავისას. თუ რომელიმე *i* აგენტი ამჯობინებს რომელიმე *j* აგენტის კალათას, ვამბობთ, რომ *i*-ს **შურს** *j*-ის. დაბოლოს, თუ განაწილება თანასწორიცაა და პარეტო-ეფექტიანიც, ვამბობთ, რომ ესაა **სამართლიანი** განაწილება. თანაბარი გაყოფის განაწილებას ის თვისება აქვს, რომ არც ერთ აგენტს რომელიმე სხვა აგენტის არ შურს.

დავუშვათ, განაწილება არ არის თანასწორი და რომ ერთ მომხმარებელს, ვთქვათ *A*-ს შურს *B* მომხმარებლის. ეს ნიშნავს, რომ *A*-ს თავის კალათაზე მეტად მოსწონს *B*-ს კალათა. ეს გულისხმობს იმასაც, რომ *B*-ს კალათა უფრო ძვირი უნდა ღირდეს. ამავ დროს, *A*-ს მიერ შერჩეული კალათა ამ ინდივიდისთვის ხელმისაწვდომი საუკეთესო კალათაა.

გავიხსენოთ რომ, გვაქვს ასეთი დაშვება - მომხმარებლები ზუსტად ერთნაირი კალათებით იწყებენ ვაჭრობას, რის გამოც შეუძლებელია *B*-ს კალათა *A*-ს კალათაზე უკეთესი იყოს. ამგვარად, ვინაიდან წინააღმდეგობასთან მივედით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ პირობებში შეუძლებელია *A*-ს შურდეს *B* მომხმარებლის. ამგვარად, ბაზრის მექანიზმი გარკვეული სახის თანასწორობას ინარჩუნებს: **თუ სანყისი განაწილება თანაბარია, საბოლოო განაწილება სამართლიანი უნდა იყოს.**

კეთილდღეობის ეკონომიკაში წვლილის შეტანა¹². დღეს თითქმის ყველა ქვეყანაში მწვავედ განიხილება შემდეგი საკითხები: ეროვნული შემოსავლის (ზოგ ქვეყანაში მშპ-ის) რა ნაწილი უნდა დაეთმოს საჯარო სექტორს? როგორ დაფინანსდება სახელმწიფო დანახარჯები? ამ საკითხების გარშემო წინააღმდეგობები ხშირია.

¹² როუზენი ჰ.ს., საჯარო ფინანსები, ტომი პირველი, თბ., 2006, გვ. 49-50; 54-56.

პირველ რიგში, ძირითადი ხედვა მეტად ინდივიდუალურია. იგი ადამიანის სარგებლიანობასა და მისი მაქსიმიზაციის გზებზეა ფოკუსირებული. აღნიშნული მოსაზრება სოციალური უზრუნველყოფის ფუნქციის ფორმულირებაშიც მოჩანს. (*გავიხსენოთ*: სოციალური კეთილდღეობის ფუნქცია მარტივი განცხადებაა იმის შესახებ, თუ როგორ უკავშირდება საზოგადოების კეთილდღეობა მისი წევრების კეთილდღეობას. ინდივიდის სარგებლიანობა დამოკიდებულია იმ პროდუქტების რაოდენობაზე, რომელსაც ის მოიხმარს, საზოგადოების კეთილდღეობა კი – მისი თითოეული წევრის სარგებლიანობის ნორმაზე. თუ, საზოგადოებაში მხოლოდ ორი წევრია, ადამი და ევა, მაშინ, მათემატიკურად, სოციალური კეთილდღეობა (W) თითოეული ინდივიდის სარგებლიანობის ნორმის ფუნქციაა (F) და ასე გამოისახება: $W = F(U^{ადამი}, U^{ევა})$. ვფიქრობთ, რომ სოციალური კეთილდღეობა $U^{ადამი}$ -ის და $U^{ევა}$ -ის ზრდის შედეგად იზრდება. საზოგადოება უფრო მდიდარია, თუ მისი წევრების სიმდიდრის დონე იზრდება).

ამ ტოლობის ძირითადი აზრი ისაა, რომ საზოგადოება ბედნიერ ადამიანთა ერთობას წარმოადგენს. არსებობს სხვა სოციალური მიზნები, როგორცაა სახელმწიფოს ძალაუფლების ზრდა და სხვა, თუმცა კეთილდღეობის ეკონომიკას ბევრი არაფერი აქვს სათქმელი ამ მიზნების მქონე ადამიანებისთვის.

ვინაიდან, კეთილდღეობის ეკონომიკა ადამიანის უპირატესობას ცენტრალური ადგილზე აყენებს, იგი აღნიშნული უპირატესობის სერიოზულ აღქმას მოითხოვს. ადამიანმა ყველაზე კარგად იცის, თუ რა ანიჭებს მას კმაყოფილებას. ამის სანაწინააღმდეგო შეხედულება, ერთ დროს მშვენივრად ფორმულირებული ტომას ო'ნილის (წარმომადგენელთა პალატის ყოფილი სპიკერი) მიერ, ასეთი იყო: თუ ვინმე დაიჯერებს, რომ ინდივიდის უპირატესობა არაჯანსაღი და უზნეო¹³, აღმოჩნდება, რომ თეორიას, რომლის მიზანი ინდივიდის სარგებლიანობის მაქსიმიზაციაა, ვერასოდეს გამოვიყენებთ.

მასგრეივმა [1959] „დამსახურებული“ პროდუქტის შესახებ კონცეფცია განავითარა. აღნიშნული პროდუქტი აუცილებლად უნდა იქნეს მიწოდებული, თუნდაც საზოგადოების წევრები მასზე მოთხოვნას არ გამოხატავდნენ. სახელმწიფოს მიერ სახვითი ხელოვნების მხარდაჭერა ხშირად ამ საფუძველზეა დასაბუთებული. თუ ინდივიდი არ იხდის სათანადო ღირებულებას, ოპერა და კონცერტი საჯაროდ უნდა ჩატარდეს. მაგრამ როგორც ბაუმოლი და ბაუმოლი [1981, გვ. 426-427] შენიშნავდნენ: „ტერმინი დამსახურებული პროდუქტი უბრალო ფორმალურ დანიშნულებაზე მიგვიითებს – მიღებულია სუბიექტური გადანყვებილება, რომ ხელოვნება საზოგადოებისთვის კარგია. ამდენად, იგი ფინანსურ მხარდაჭერას იმსახურებს. დამსახურებული პროდუქტის მიმართ მიდგომა არ არის მხარდაჭერის ფაქტობრივი დასაბუთება – იგი ქმნის ტერმინოლოგიას, რომელიც ზუსტად მიუთითებს მხარდაჭერის სურვილზე“.

კეთილდღეობის ეკონომიკის ჩარჩოსთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი შესაძლო პრობლემა მისი შედეგთან დამოკიდებულებაა. სიტუაცია ფასდება რესურსთა განაწილების მიხედვით და არა იმის მიხედვით, თუ როგორ განისაზღვრება განაწილების ფორმა. *შესაძლოა, საზოგადოება უნდა შეფასდეს იმ პროცესის მიხედვით, რომელმაც იგი განაწილების ამ ფორმამდე მიიყვანა და არა ფაქტობრივი შედეგების მიხედვით.* შეუძლია თუ არა ადამიანს თავისუფლად დადოს კონტრაქტი? არის თუ არა საჯარო პროცესები დემოკრატიული? თუ ამგვარ მოსაზრებას ავირჩევთ, კეთილდღეობის ეკონომიკა თავის ნორმატიულ მნიშვნელობას დაკარგავს.

მეორე მხრივ, კეთილდღეობის ეკონომიკის სერიოზული უპირატესობა ის არის, რომ იგი სახელმწიფოს პოლიტიკის შესაფასებლად ლოგიკურ ჩარჩოს უზრუნველყოფს. სახელმწიფოს ნებისმიერი ინტერვენცია რესურსთა განაწილებას გამოიწვევს, კეთილდღეობის ეკონომიკის მიზანი კი, განაწილების ალტერნატიული ფორმების შეფასებაა. კეთილდღეობის ეკონომიკის ჩარჩო გვიბიძგებს, როდესაც სახელმწიფოს მიერ გახორციელებულ ქმედებაზე ვსაუბრობთ, **დავსვათ სამი არსებითი შეკითხვა:**

¹³ შენიშვნა: გაიხსენეთ უპირატესობების დაშვებები მომხმარებელთა ქცევის თეორიაში: „უმჯობესია ბევრი, ვიდრე ცოტა“.

- მოხდება თუ არა აღნიშნული ქმედების შედეგად პროდუქტების ყველაზე სასურველი ფორმით განაწილება?
- გაზრდის თუ არა იგი ეფექტიანობას?
- გამოიწვევს თუ არა იგი მიზნობრივ დანახარჯებს?

თუ პასუხი სამივე შეკითხვაზე უარყოფითია, მაშინ სასურველია, ბაზარს თავისუფლება მივანიჭოთ. ცხადია, აღნიშნულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა არსებით კვლევებს და პირველი შეკითხვის შემთხვევაში სუბიექტურ შეფასებასაც მოითხოვს. სწორი შეკითხვის დასმა გადანყვეტილებათა მიღების პროცესისთვის განსაკუთრებულ სტრუქტურას უზრუნველყოფს. იგი ინდივიდს აიძულებს, თავისი ეთიკური ფასეულობები გამოხატოს, და ზედაპირული და მხოლოდ საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად მოქმედი პროგრამების აღმოჩენა გაამარტივოს.

პირითაღი ტიპის ტიპი:

ჰორიზონტალური სამართლიანობა
 ვერტიკალური სამართლიანობა
 პარეტო-ეფექტიანობა
 პარეტო-მოგება

მეორეხარისხოვანი განთავსება
 სოციალური კეთილდღეობის ფუნქციები
 იზოკეთილდღეობის მრუდები
 იზოკეთილდღეობის ნრფეები

შეკითხვები ბაზარებისთვის:

1. ახსენით და გრაფიკულად გამოსახეთ რესურსების ეფექტიანი განაწილება;
2. ჩამოთვალეთ სრულყოფილი კონკურენციისა და პარეტო-ეფექტიანობის მიღწევის 7 საფეხური;
3. რას გულისხმობს დარღვევები და მეორეხარისხოვანი ამოცანა?
4. გრაფიკულად გამოსახეთ და ახსენით მეორეხარისხოვანი განთავსება;
5. დაახასიათეთ სოციალური კეთილდღეობის ფუნქციები;
6. ახსენით და გრაფიკულად გამოსახეთ კეთილდღეობის მაქსიმიზაცია.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ეკონომიკა – დ. ბეგი, ს. ფიშერი, რ. დორნბუში, თარგმანი ინგ., თბ. 1999 წ. გვ. 211-218.
2. ჰ. ლ. ვარიანი – მიკროეკონომიკა თანამედროვე მიდგომა, წიგნი 2, გამომც. დიოგენე 1998 წ. (Intermediate Microeconomics, A modern approach 1993, W. W. Norton & Company, inc.) გვ. 279-292.
3. Economics, Begg D., Fisher S., Dornbusch R., Third Edition, McGRAW-HILL BOOK COMPANY, UK, 1991, p. 258-267.
4. როუზენი ჰ.ს., საჯარო ფინანსები, ტომი პირველი, თბ., 2006, გვ. 49-50; 54-56.